შეთანხმება

უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი **21 თებერვალი 2025 წელი**

ერთის მხრივ სს „სუფთა სახლი" ს/კ 202458893 წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ჩოვაბის (პ/ნ 01005003421) მინდობილი პირის მარიამ რამიშვილის (პ/ნ 01005032248) სახით, შემდგომში „მოიჯარე" და მეორე მხრივ სს „ელეგანტი" (209436948) შემდგომში „მეიჯარე" წარმოდგენილი დირექტორის, ზურაბ გამყრელიძის სახით, ურთიერთშორის ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეთანხმების გაფორმების წინაპირობები

1.1. მხარეებს შორის 2018 წლის 01 აპრილს გაფორმებულია უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე სს "სუფთა სახლს" იჯარით გადაეცა მეიჯარის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება **(საკადასტრო კოდი N 01.11.12.016.132).**

2. შეთანხმების საგანი

2.1 მხარეები თანხმდებიან, რომ 2025 წლის 01 აპრილიდან მეიჯარისათვის გადასახდელი ყოველთვიური ხელშეკრულების დასრულებამდე განისაზღვროს 4500 აშშ დოლარით, დღგ-ს ჩათვლით, ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღეს განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისი ოდენობით.

2.2. ძირითადი ხელშეკრულების მე-3 მუხლში შევიდეს ცვლილება და საიჯარო პერიოდი გაგრძელდეს 2030 წლის 01 აპრილამდე.

2.3. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ მეიჯარე, როგორც ფართის მესაკუთრე აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ სს „სუფთა სახლმა" (ს/ნ 202458893), როგორც ფართით მოსარგებლემ/მოიჯარემ, იჯარის საგანზე განახორციელოს კონდენციონერის მონტაჟი ან დემონტაჟი, სარეკლამო აბრის მოწყობა ან დემონტაჟი, ფასადის ფერის ცვლილება საკუთარი შეხედულებისამებრ.

3. დასკვნითი დებულებები

3.1. შეთანხმება წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და იგი შედგენილია უფლებამოსილი პირების მიერ.

3.2. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერების შესრულების მომენტიდან.

3.3. შეთანხმება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და თითოეული გადაეცემა მხარეებს, ხოლო ერთი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირდება.

მეიჯარე **მოიჯარე**

სს „ელეგანტი"

დირექტორი ზურაბ გამყრელიძე

Mariam Ramishvili 01005032248

Digitally signed by Mariam Ramishvili
Date: 2025.09.03 15:11:04

ზურაბ გამყრელიძე

ზ. გამყრელიძე

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საჯარო რეესტრის პრივილეგიის სამინისტრო
ვიზირება №1375
მხარის - ზ. სულიაშვილი 2025წ.
ამონაწერია 01. ხელმოწერა 5